საქართველოს თავდაცვის მინისტრის

ბრძანება №11

2026 წლის 2 მარტი

ქ. თბილისი

,,შერჩევის საბჭოს სახეების, შემადგენლობის, სტრუქტურისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2025 წლის 24 ივნისის №83 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„შერჩევის საბჭოს სახეების, შემადგენლობის, სტრუქტურისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2025 წლის 24 ივნისის №83 ბრძანებით (ვებგვერდი, 25/06/2025, სარეგისტრაციო კოდი: 120000000.22.026.017370) დამტკიცებულ შერჩევის საბჭოს სახეების, შემადგენლობის, სტრუქტურისა და საქმიანობის წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის:

ა) „ა.ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ე) სსიპ – კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დირექტორი, დირექტორის მოადგილე – შტაბის უფროსი;“;

ბ) „ბ.ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ.ზ) სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელი (სამხედრო სასწავლებლის მეთაური/მეთაურის მოადგილე, დირექტორი/დირექტორის მოადგილე – შტაბის უფროსი, სკოლის მეთაური, აკადემიის მეთაური, ცენტრის მეთაური/უფროსი, კოლეჯის მეთაური);“.

2. მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის:

ა) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სკოლის უფროსი/მეთაური, სკოლის მეთაურის მოადგილე (ვიცე-პოლკოვნიკის საშტატო კატეგორიის);“;

ბ) „კ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2026 წლის 17 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საქართველოს თავდაცვის მინისტრი **ირაკლი ჩიქოვანი**